შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№17 (10.172)

24–31 მაისი 2025 წელი

ფასი: 60 თეთრი

მინისტრი ფერმერებსა და მეწარმეებს შეხვდა

21 მაისს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაულთან, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ალადაშვილთან, მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძესთან და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად, დედოფლისწყაროში მარცვლეული კულტურების ნათესები მოინახულა, შემდეგ კი ფერმერ ნუგზარ ალუღიშვილის მარცვლეულის საშრობი მეურნეობა დაათვალიერა და მეხორბლე ფერმერებს შეხვდა.

მარცვლეულის საშრობი მეურნეობის-20,000 ტონაზე მეტი წარმადობის მქონე ინფრასტრუქტურის შექმნისათვის ფერმერმა შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა. სესხის თანხა 1,4 მლნ ლარს აჭარბებს, სადაც სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება 300 000 ლარია.

დავით სონღულაშვილმა მეხორბლე ფერმერებთან გამართულ შეხვედრაზე ქვეყანაში ხორბლის წარმოების ზრდის ტენდენციაზე გაამახვილა ყურადღება.

შეხვედრაზე მინისტრმა მოისმინა ფერმერების აზრი მარცვლეული კულტურების მოყვანის საკითხში არსებული პრობლემების შესახებ, რაც სხვა საკითხებთან ერთად თესლის ხარისხიანობასაც მოიცავს და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეხორბლე ფერმერებისთვის გაწეული დახმარების მიზანია, მწარმოებლებმა მეტი მოსავალი მიიღონ, გაიზარდოს პროდუქტიულობა. საქართველოში ხორბლის სავალდებულო სერტიფიცირება უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. „სერტიფიცირების კარგად ორგანიზებული სისტემა ფერმერებს უზრუნველყოფს ხარისხიანი მასალით, რაც მოსავლიანობის გაზრდის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი საფუძველია“ – განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

დავით სონღულაშვილმა ტექნიკით უზრუნველყოფის საკითხზეც ისაუბრა. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით ფერმერებს ბოლო წლებში პრობლემა არ შექმნიათ. სახელმწიფომ რამდენიმე ათეული კომბაინის შეძენაში თანადაფინანსებით მიიღო მონაწილეობა.

მნიშვნელოვანია, რომ ხორბლის სამეურნეო ნიშან-თვისებების, მოსავლიანობის და დაავადებების მიმართ გამძლეობის მიხედვით გამოირჩევა ხორბლის ახალი ჯიშები, რომლებსაც ამჟამად სხვადასხვა რეგიონში, განსხვავებულ კლიმატურ პირობებსა და ზონებში ცდიან. კონკრეტული რეგიონისთვის საუკეთესო ფორმა ირჩევა და ფერმერულ მეურნეობებში ვრცელდება.

„შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში სახელმწიფომ მარცვლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის მიზნობრიობით სესხის თანხის ზედა ზღვარი მნიშვნელოვნად, 100 000-დან 300 000 ლარამდე გაზარდა. აღსანიშნავია, რომ შეღავათიანი სესხები გაიცემა ერთწლოვანი მცენარის მოვლისა და მოყვანის ყველა ეტაპზე, ეს იქნება სათესი და სარგავი მასალის, თუ სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების შეძენა. გათვალისწინებულია მუშახელის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავების და გამოყენებული საწვავის ხარჯები.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი მოგვიანებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში სახელმწიფო მხარდაჭერით შექმნილ საკონსერვო საწარმოს ესტუმრა.

საკონსერვო საწარმო „ჯეონატურალსი“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. საწარმოში ჯამურად მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია განხორციელდა; მათ შორის, 450,000 ლარზე მეტი შეღავათიანი აგროკრედიტია, 370,000 საგრანტო თანადაფინანსება. საწარმომ, სადაც მუდმივად 40 ადამიანია დასაქმებული, 2024 წელს მილიონო ქილა კონსერვი აწარმოა. პროდუქცია ბრენდით „სადილი“ იყიდება.

დავით სონღულაშვილმა სოფლის მეურნეობის მიმართულებით გადამმუშავებელი სექტორის წარმადობის ზრდაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ 270 საწარმო, რომლებიც სოფლის განვითარების სააგენტოს გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებშია შექმნილი, მოიცავს ხილისა და ბოსტნეულის, თხილის, ჩაის, კაკლის, რძის, თევზის, ხორცის, გადამმუშავებელ მიმართულებებს. ქვეყანაში იქმნება მაღალი ხარისხის ქართული პროდუქცია, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციას უწევს იმპორტირებულ საქონელს და, ეტაპობრივად, საექსპორტო ბაზრებზეც იმკვიდრებს ადგილს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, საკონსერვო საწარმო „ჯეონატურალსი“ სახელმწიფოს ხელშეწყობით შექმნილი ერთ-ერთი წარმატებული საწარმოა, რომელმაც ადგილობრივ ბაზარზე თავი უკვე დაიმკვიდრა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის განვითარების სააგენტოს გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 270 საწარმო შეიქმნა, რომლებიც თანადაფინანსებულია 126 მლნ ლარზე მეტით.

მოამზადა

ინგა შიოლაშვილმა

წვრთნები დედოფლისწყაროში

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სამოქალაქო უსაფრთხოების მრავალკომპონენტიანი სახანძრო-სამაშველო სწავლება ჩაატარა.

აღნიშნული ღონისძიება, საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივი პროექტის „ტრანსსასაზღვრო რისკების შეფასება და სამოქმედო გეგმის შემუშავება საქართველოსა და აზერბაიჯანში - **SAILOR**“ ფარგლებში განხორციელდა.

სწავლებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და აზერბაიჯანელი ექსპერტები ესწრებოდნენ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით, კახეთის რეგიონში, კერძოდ, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში დაფიქსირდა ტყის ხანძარი. მაღალი ტემპერატურისა და ინტენსიური ქარის გამო ხანძარი აზერბაიჯანის საზღვარზეც გავრცელდა.

სიტუაციის ეფექტიანად მართვისთვის, შეიქმნა შტაბი, სადაც გამოწვეული რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, შედგა კრიზისის მართვის გეგმა. უწყებების კოორდინირებულად მუშაობის შედეგად, მოხდა მოსახლეობის უმოკლეს დროში ინფორმირება და ყველა შესაბამისი საევაკუაციო მოქმედებების განხორციელება. სწავლებაში, ჩართული იყო სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი. სწავლების ერთ-ერთი კომპონენტი, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საკითხიც იყო.

ღონისძიებაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 200-ზე მეტ მეხანძრე-მაშველთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლები, საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სწავლებას, ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები.

სწავლების მიზანს, საქართველოს და აზერბაიჯანს შორის საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინირებული მოქმედებების დახვეწა, არსებული განგაშის გამაფრთხილებელი სისტემის ტესტირება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება

ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილე გელა სამუკაშვილთან ერთად გაეცნო.

ინფრასტრუქტურულ პროექტს, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს და მისი ღირებულება 983 112 ლარია.

ცოფის პირველი შემთხვევა დედოფლისწყაროში

კარანტინი ამოქმედდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ჭაჭუნას აღკვეთილის დაცულ ტერიტორიებზე. ზამთრის საძოვარზე არსებულ მეცხოველეობის ფერმაში ცოფით ძაღლის დაავადების შემთხვევა დაფიქსირდა. ლაბორატორიული კვლევის შედეგად, ცოფით ძაღლის დაავადების შემთხვევა 20 მაისს დადასტურდა. ასევე დადგინდა, რომ ინფიცირების წყარო მგელია. წელს ეს ცოფის პირველი შემთხვევაა დედოფლისწყაროში.

სურსათის ეროვნული სააგენტო დაავადების კერაში საკარანტინო ღონისძიებებს ახორციელებს, რაც სავალდებულო ვაქცინაციას, ცხოველების გადაადგილების შეზღუდვას, დეზინფექციას და ცხოველებზე ვეტერინარულ ზედამხედველობას გულისხმობს. შემთხვევის შესახებ ეცნობა ჯანდაცვის შესაბამის უწყებებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალში ამბობენ, რომ ჭაჭუნას ტერიტორიაზე საკარანტინო რეჟიმი 1 თვის განმავლობაში იმოქმედებს.

ეთერ იაკობიშვილი: „შემთხვევა დაფიქსირდა დაცულ ტერიტორიებზე, მეორე სასაზღვრო საგუშაგოს მიმდებარედ არსებულ ოზაანის მკვიდრის ივანე ცქიტიშვილის მეცხოველეობის ფერმაში. მეპატრონეს ობიექტი გაქირავებული აქვს და რეალურად აქ ვალი გაჯიევის ცხოველების სადგომია. სწორედ მათი ფერმის ძაღლს დაუდასტურდა ცოფი, მიმდინარეობს ყველა ღონისძიება. ასევე იძულებითი ვაქცინაცია უტარდება ფერმაში მყოფ ადამიანებსაც. უშუალოდ დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული სამი პირია, თუმცა აცრა უტარდება ყველა ადამიანს, ვინც ამავე ფერმაში ცხოვრობს. ერთი თვის განმავლობაში დავაკვირდებით დანარჩენ ცხოველებსაც, კიდევ ხომ არ გამოვლინდება რაიმე საეჭვო სიმპტომი. სამი კილომეტრის რადიუსში მოქმედებს სპეციალური რეჟიმი. ეს ახალი ფერმაა, ახალი შემოსულები არიან ჩვენს ტერიტორიაზე და საქონელის შემოყვანისას ჩვენთვის არ უცნობებიათ. მხოლოდ მას შემდეგ მოგვაწოდეს ინფორმაცია, როცა ცხოველს სიმპტომები გამოუვლინდა. ამიტომ, მისი საქონელი წინასწარ დამუშავებული არ იყო."

ცოფი საშიში ზოონოზური დაავადებაა, რომლითაც ავადდება როგორც შინაური და გარეული ცხოველი, ასევე ადამიანი. ინფექცია ვრცელდება დაავადებულ ცხოველთან კონტაქტით (დაკბენა, დაკაწვრა). კლინიკური ნიშნების გამოვლენის შემდეგ, დაავადება ლეტალობით სრულდება. ცხოველებში ცოფის პრევენცია შესაძლებელია ვაქცინაციით. სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად ატარებს უფასო ვაქცინაციას ცოფის საწინააღმდეგოდ და 300 ათასამდე ცხოველს ცრის.

სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, დროულად ჩაუტარონ საკუთარ შინაურ ცხოველებს (ძაღლი, კატა) ვაქცინაცია, რათა თავიდან აიცილონ ცხოველების ცოფით დაავადება და საფრთხე არ შეუქმნან საკუთარ სიცოცხლეს.

მერი სააღმზრდელო პროცესს გაეცნო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ ხორნაბუჯის საბავშვო ბაღში მიმდინარე სააღმზრდელო პროცესს გაეცნო.

მერი საბავშვო ბაღის პედაგოგებს შეხვდა და ბაღში არსებულ პირობებზე მათგან დეტალური ინფორმაცია მიიღო.

როგორც მერმა აღნიშნა, საბავშვო ბაღებში ღირსეული სამუშაო და სააღმზრდელო პირობების უზრუნველყოფა ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია და ამ მიზნით ხორციელდება არაერთი ბაღის რეაბილიტაცია, ასევე აქტიურად მიმდინარეობს ახალი ბაღების მშენებლობა.

ზემო მაჩხაანელი სპორტსმენების მორიგი წარმატება

17–18 მაისს ქალაქ რუსთავში ხრიდოლის ეროვნულმა ფედერაციამ, ხრიდოლის აკადემიის პრეზიდენტის, ნუკრი მჭედლიშვილისა და შალვა ზამთარაძის ორგანიზებით, ჩაატარა საქართველოს პირველობა ხრიდოლში. ამ ჩემპიონატზე მონაწილეობა მიიღო 150 სპორტსმენმა. მათ შორის ზემო მაჩხაანის სპორტულმა კლუბმა „ზაქებმა" 9 სპორტსმენით მიიღო მონაწილეობა. 5-მა მოსწავლემ მოიპოვა პირველობა, 4-მა მოსწავლემ კი მესამე ადგილები დაიკავა.

პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ:

*საბა ხუმარაშვილი - 92კგ;
*ნიკა ჯაბაშვილი - 75კგ;
*საბა ლობჟანიძე - 55კგ;
*ნიკოლოზ ნასრაშვილი - 50კგ;
*და დაუმარცხებელი მარიამ ჯაბაშვილი 53კგ;

მესამე ადგილები დაიკავეს

*მიხეილ ბაქარაშვილი - 60კგ;
*ვიტალი ცისკაძე - 50კგ;
*ზუკა ძნელაშვილი - 47კგ;
*საბა ნატროშვილი - 45კგ;

გუნდს ავარჯიშებს მწვრთნელი გენადი ნატროშვილი.

რა ბედი ელის ავტოსადგურებს?

მთავრობა სატრანსპორტო პოლიტიკის რეფორმას გეგმავს. ცვლილებები რეგიონული ავტოსადგურებისა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს. „შირაქი" შეეცადა გაერკვია, შეეხება თუ არა ცვლილებები დედოფლისწყაროს ავტოსადგურს და დედოფლისწყარო-თბილისის ხაზზე მოძრავ მიკროავტობუსებს.

დაგეგმილი რეგულაციების თანახმად მიმდინარე წლის 1 ივნისიდან 150 კილომეტრზე მეტ მანძილზე მგზავრთა გადასაყვანად იზღუდება მცირე სატრანსპორტო საშუალებები და მხოლოდ ავტობუსია დაშვებული. ავტობუსები გზაში და დასახლებულ პუნქტებში მგზავრების შეკრებას ვეღარ შეძლებენ და სასტარტო ლოკაცია მათთვისაც ქალაქის ავტოსადგურები იქნება.

დედოფლისწყაროს ავტოსადგურის, სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის" ხელმძღვანელი კარდინალ ბაღაშვილი გაზეთ „შირაქს" ეუბნება, რომ 150 კილომეტრიანი ზღვარი ქალაქ დედოფლისწყაროს არ შეეხება, რადგან დედაქალაქი გაცილებით ნაკლებ მანძილზე მდებარეობს, თუმცა რეგულაცია შეეხება დედოფლისწყაროს სოფლებიდან თბილისისკენ მოძრავ ხაზებს.

იანვრის ბოლოს ეკონომიკის სამინისტრომ ტრანსპორტირებაში ჩართულ კომპანიებთან შეხვედრა გამართა, რომელსაც მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილი ესწრებოდა. ცვლილებები ხელს შეუწყობს ავტოსადგურების მხრიდან არაჯანსაღი კონკურენციის აღმოფხვრას და სატრანსპორტო ბაზარზე განვითარების თანაბარი პირობების შექმნას. სამინისტროს ინფორმაციით, რეფორმის მიმდინარეობის პროცესში სააგენტო „აწარმოე საქართველოში" ჩაერთვება - სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით, ავტოსადგურის მფლობელს შესაძლებლობა ექნება შეამციროს ავტოსადგურის მშენებლობის, ან რემონტის მიზნით აღებული სესხის/ლიზინგის პროცენტი და ასევე უზრუნველყოს სესხის გარანტია 80%-ის მოცულობით.

ავტოსადგურები და მგზავრთგადამყვანი ოპერატორები ახალი რეგულაციებისთვის ემზადებიან. ავტოსადგურებმა 1 ივნისამდე სერტიფირება უნდა მოასწრონ, მძღოლებს კი რეგულაციის მიხედვით, 1 ივნისიდან 150 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებული პუნქტებიდან მგზავრების გადაყვანა მხოლოდ M3 კატეგორიის ტრანსპორტით - ავტობუსით შეეძლებათ.

კარდინალ ბაღაშვილი: „რამდენიმე თვის წინ თბილისიდან იყვნენ ჩამოსულები და დაათვალიერეს ჩვენი სივრცე, მოგვცეს მითითებები, როგორ მოვარგოთ ახალ რეგულაციებს. ითქვა, რომ უნდა იყოს საპირფარეშო და სველი წერტილები, გადახურული მოსაცდელი, ბაქანი, სალარო და ბავშვთა ოთახი. ამ პერიოდში გულის ოპერაცია გავიკეთე და მათ სტუმრობას ვერ ვესწრებოდი, მაგრამ თანამშრომლებმა გადმომცეს, რაზეც იყო საუბარი. ასევე ვესაუბრე ნავთლულის ავტოსადგურის დირექტორს, რომელიც დედოფლისწყაროელია და კარგად ვიცნობ. ის ესწრებოდა სამინისტროში გამართულ შეხვედრას და ამ ცვლილებებზე მეტი ინფორმაცია აქვს. ისიც ვერ აკონკრეტებს, გადავადდება ცვლილებები, თუ 1 ივნისიდან შევა ძალაში. მინდოდა კარგად გავრკვეულიყავი ამ ცვლილებებში. კოლომეტრებზე დაწესებული ზღვარი ქალაქ დედოფლისწყაროს ნამდვილად არ შეეხება, რადგან აქედან თბილისამდე 120 კილომეტრია, მაგრამ ქედების ზონიდან და სამთაწყაროდან დანიშნული თბილისის რეისები ნამდვილად მოექცევა ამ შეზღუდვებში. ამ ხაზების მძღოლებიც ჩვენს ორგანიზაციაში არიან, ამდენად, გათვალისწინება მოგვიწევს.

20 წელია რაც ამ შენობაში ვმუშაობთ, მანამდე აქ 9 აპრილის მუზეუმი იყო, ჩვენ ქალაქის ცენტრში ფართი არ გვქონდა. იყო მოთხოვნა და რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მუზეუმი გაიყვანეს და ჩვენ შემოგვიშვეს. ეს შენობა ისევ მთავრობისაა, ჩვენ იჯარით ვართ და ყოველთვიურ ქირას ვიხდით. 2012 წლამდე არ გადამიხდია, მაგრამ მას შემდეგ სულ ვიხდით. როგორიც დაგვხვდა ისევ ისეთი ოთახებია. შიდა რემონტი არ ჩატარებია. ერთხელ გამგებელმა სოსო ხაჩიაშვილმა მთხოვა გამერემონტებინა, 5000 ლარი გამოვყავი და გარე ფასადი საკუთარი ხარჯებით შევარემონტეთ. შიდა სივრცის კეთილმოწყობა კი ვერც მაშინ შევძელით. მაშინ უფრო იყო შემოსავალი, ახლა ნამდვილად არ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი ხარჯებით გავარემონტოთ. თვეში 700—900 ლარია ჩვენი ორგანიზაციის მოგება, ხელფასებს გავცემთ და ეგაა. ჩემი ანაზღაურება მხოლოდ 85 ლარია. მხოლოდ იმიტომ ვმუშაობ, რომ ხალხში გავიდე და კომუნიკაცია მქონდეს. ამით ვცოცხლობ, გულს ვაყოლებ და ამდენი წელია ამ სფეროში ვარ. სხვა ინტერესი მე ნამდვილად არ მაქვს. გეგმის მიხედვით, ახლა უკვე უნდა იყოს სადგურების კეთილმოწყობა დაწყებული, რომ 1 ივნისისთვის სერთიფიცირება მოესწროს და ცვლილებებს მომზადებული შევხვდეთ, მაგრამ რამდენადაც ვიცი, რაიონებში არ არის ეს პროცესი დაწყებული. ბევრი ითხოვს ცვლილებების გადავადებას. ახლა რომ დაიწყონ სერტიფიცირება, ცხადია ვერ გავივლით, ვერ დავაკმაყოფილებთ მოთხოვნებს. ორგანიზაციები საკუთარი ხარჯებით ვერ დაიწყებენ ამ პროცესს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეგვიჩერდება ლიცენზია და თუ სხვა გამოსავალი არ მოიძებნა, ალბათ, გავაჩერებთ მუშაობას."

✍ ილია მარტყოფლიშვილი

საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივი მეწარმეებისთვის

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის დარბაზში ადგილობრივი მეწარმეებისთვის საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ კახეთის რეგიონის საკონსულტაციო ცენტრის ბიზნეს კონსულტანტმა, **ქეთევან მიქაძემ** დამსწრე საზოგადოებას „აწარმოე საქართველოში“ კახეთის საკონსულტაციო ცენტრის კონცეფციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მისი თქმით, საკონსულტაციო ცენტრის სახით, რეგიონის მასშტაბით არსებობს ისეთი ობიექტი, რომელიც მეწარმეებს სხვადასხვა ბიზნეს მხარდამჭერ სერვისებს სთავაზობს.

„საკონსულტაციო ცენტრში რეგიონის მასშტაბით არსებულ მეწარმეებს საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში 95%-მდე თანადაფინანსების მიღებისა და ბიზნეს უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობა აქვთ. აღნიშნულ სერვისებთან ერთად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰაბში შეუძლია მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი პროექტების შესახებ. უნდა აღინიშნოს მეწარმეებთან შეხვედრების აუცილებლობა, რადგან მათ უფრო აინტერესებთ მიკროსესხების მსგავსი ტიპის პროექტები, რომლის ფარგლებშიც, გრანტის სახით, მინიმუმ 25,000 და მაქსიმუმ 50, 000 ლარის მიღება შეუძლიათ. ეს კი საკუთარი ბიზნესის განვითარების საშუალებას მისცემთ“-აღნიშნა ქეთევან მიქაძემ.

შეხვედრაზე განიხილეს მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაც.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საქართველოში მიკრომეწარმეობის ხელშეწყობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და სამეწარმეო პოტენციალის ზრდა. პროგრამა ითვალისწინებს მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შესაბამისი მექანიზმების შეთავაზებით რომელიც მოიცავს:

*** მეწარმის ბიზნეს დიაგნოსტიკა;**

*** კომერციული ბანკის/მიკრობანკის მიერ გაცემული სესხის გარანტია;**

*** კომერციული ბანკის/მიკრობანკის მიერ გაცემული სესხის სუბსიდირება;**

პროგრამის პირობები

*** პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სესხის მოცულობა განისაზღვრება 20 000 ლარიდან 50 000 ლარამდე, მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში;**

*** სესხის გარანტია - არა უმეტეს სესხის ძირი თანხის 80 %-ისა 5 წლის ვადით;**

*** სესხის პროცენტის სუბსიდირების მაქსიმალური ვადა - 5 წელი**

*** გრანტი (ქეშბექი) ათვისებული სესხის თანხის 25% - მზის კარის ბენეფიციარებისთვის**

პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხ(ებ)ი განთავისუფლებულია - სესხის გაცემის, მომსახურების, აუთვისებელი ტრანშის და სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიოს/ჯარიმისგან;

1. სესხის პროცენტის სრულად სუბსიდირებას მიიღებს მეწარმე, თუ დაკმაყოფილებულია ერთ-ერთ პირობა მაინც:

- დიაგნოსტიკის შედეგად მეწარმე არ აკმაყოფილებს „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის“ ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

- არის ქალი მეწარმე. იურიდიული პირის შემთხვევაში, პროგრამის მიზნებისთვის, ქალ მეწარმედ მიიჩნევა მხოლოდ ის მეწარმე სუბიექტი, რომელსაც პროგრამაში ჩართვამდე ბოლო 6 თვის მანძილზე ჰყავს 100%-იანი წილის მესაკუთრე ქალ(ებ)ი;

- მეწარმის ბიზნესის განხორციელების ადგილია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულიმაღალმთიანი დასახლება;

- პროექტის „მზის კარის“ ბენეფიციარები

2. სესხს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით მიიღებს მეწარმე, თუ აკმაყოფილებს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს, თუმცა არ წარმოადგნეს ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ ჯგუფს.

ასეთ შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხზე კომერციული ბანკის/მიკრობანკის მიერ დასარიცხი წლიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრულია 8.5%-ის ოდენობით.

პროგრამის სამიზნე ჯგუფი და გეოგრაფიული არეალი

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონსა და თბილისში.

პროგრამის სამიზნე ეკონომიკური საქმიანობები

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობა.

პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმები

•მეწარმე სუბიექტის შემოსავალი არ აღემატება 500 000 ლარს;

•არ აქვს სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანება;

•არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

•მეწარმე სუბიექტის დამფუძნებელი/წილის მესაკუთრე ფიზიკური პირის შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;

•მეწარმე სუბიექტის დამფუძნებელი/წილის მესაკუთრე იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მხოლოდ შემოსავლების კომპონენტში შეესაბამება IV კატეგორიის საწარმოსთვის დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის ფარგლებში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

•სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ცნობა წინა კალენდარულ წელს მიღებული შემოსავლების შესახებ

•კომპანიის დირექტორის მიერ ხელმოწერილი ცნობა წინა კალენდარულ წელს მიღებული შემოსავლების შესახებ (ფორმის შესაბამისად)

•სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ცნობა სახელმწიფოს მიმართ დავალიანების არ ქონის შესახებ

•სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ცნობა „ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ“, თუ კომპანია დაფუძნებულია ფიზიკური პირის/პირების მიერ (ყველა დამფუძნებლის ცნობა).

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დამსწრე საზოგადოების მიერ დასმულ კითხვებს ქეთევან მიქაძემ ამომწურავად უპასუხა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღეის მდგომარეობით, ქალი მეწარმეები წარმოადგენენ პრიორიტეტ სამიზნე კატეგორიას იმ ძირითად სერვისებსა თუ პროექტებში, რაც აღნიშნული შეხვედრის განმავლობაშიც განიხილეს.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ საკონსულტაციო ცენტრები მსოფლიო ბანკის მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. საკონსულტაციო ცენტრის კონცეფცია ბრიტანულ ჩრონწტჰ ᏓᏍᏃ-ის მოდელს ეფუძნება და მიზნად ისახავს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ინფორმაციით უზრუნველყოფას, მათთვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებას და ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზებას.

2023-2025 წლების განმავლობაში სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრები საქართველოს ყველა რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში გაიხსნება. ცენტრში მეწარმე შეძლებს გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაცია ცენტრის თანამშრომელთან და სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ. მეწარმეს ასევე შეეძლება სიღრმისეული ბიზნეს-დიაგნოსტიკის გავლა, რაც დაეხმარება უკეთ გაიგოს საკუთარი ბიზნესის საჭიროებები, რომ სწორად დაგეგმოს ბიზნესის მომავალი. დიაგნოსტიკით გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, მეწარმეს შეეძლება ისარგებლოს ცენტრში შეთავაზებული საკონსულტაციო მომსახურებით ან დაესწროს შესაბამის ტრენინგს/სემინარს, რაც ხელს შეუწყობს მის სამეწარმეო საქმიანობას.

ცენტრის წევრ მეწარმეებს შეეძლებათ დაამყარონ კონტაქტები თავიანთი სექტორის ან ღირებულებათა ჯაჭვის სხვა წარმომადგენლებთან, თავისუფლად ისარგებლონ ცენტრებში განთავსებული საერთო სამუშაო სივრცით, და/ან დაესწრონ ცენტრში დაგეგმილ სხვადასხვა ინფორმაციულ თუ საგანმანათლებლო ღონისძიებას.

მიმდინარე ეტაპზე ფუნქციონირებს ოთხი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრი აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში, ასევე თბილისში. 2025 წლის ბოლომდე იგეგმება ცენტრების გახსნა იმერეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებული მეწარმე სუბიექტებისთვის.

შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ სააგენტო - „აწარმოე საქართველოში“ კახეთის რეგიონული საკონსულტაციო ცენტრი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია.

✍ ᏥᏍᏥᏍᏂᏁ ᎩᏁᏓᏗᏍᏉᏁᏓ

ინოვაციური სასკოლო კონკურსი კახეთში

15 მაისს, წინანდალში, გაიმართა კახეთის რეგიონის ყოველწლიური ინოვაციური სასკოლო კონკურსის* Tech Sparks *- ის სადემონსტრაციო დღე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კახეთის რეგიონის 32-მა სკოლამ. მოსწავლეებმა ჟიურის წინაშე წარადგინეს სტარტაპ პროექტები, რომლებიც განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს წყვეტდა ინოვაციური გ ზებით.

კონკურსი 3 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ახმეტის, თელავისა და გურჯანიის ტექნოპარკებში და მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში მეცნიერების, ინოვაციებისა და **STEAM** განათლების პოპულარიზაციას. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის პროექტი საუკეთესო ხუთეულში მოხვდა და დასახელდა ჩვენი მუნიციპალიტეტის რჩეულ გუნდად. მონაწილეობდა ეპარქიის სკოლაც.

სალომე ლაპიაშვილი ***(კონკურსის მონაწილე):*** „ჩემმა გუნდმა (კურატორი: ირინე თეთვაძე, წევრები: საბა უზუნაშვილი, ნიკოლოზ რობიტაშვილი, კახი პოპიაშვილი, გიორგი ღვედაშვილი, სალომე ლაპიაშვილი) წარადგინა სტარტაპ პროექტი Kidnect, რომელიც გულისხმობს პლატფორმის შექმნას დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლებისთვის.

ჩვენ განათლების სფეროში აღმოვაჩინეთ ის პრობლემა, რომ მშობლების უმეტესობას უჭირს ბავშვისთვის სათანადო დახმარების გაწევა სწავლის პროცესში. ბევრ მათგანს არ აქვს საკმარისი ცოდნა, გამოცდილება ან ფინანსური მდგომარეობა. მეორე მხრივ, ბევრი მშობელი გადამეტებულად ერევა ბავშვის სწავლასა და ყოველდღიური ამოცანების შესრულებაში, რის შედეგადაც ისინი ვერ ხდებიან დამოუკიდებლები,მოკლებულნი არიან კრიტიკულ აზროვნებასა და პასუხისმგებლობის გრძნობას. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად შევქმენით Kidnect , რომელიც პირველიდან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეების მშობლებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას სწორად ჩაერთონ ბავშვის სწავლის პროცესში. ის მოიცავს ვებ-პლათფორმის ორ მხარეს და მოქმედებს შემდეგნაირად: პლატფორმაზე რეგისტრირდება მშობელი, შეჰყავს საკუთარი და თავისი შვილის მონაცემები. დარეგისტრირებული მშობელი გადის ტესტს, რათა დაადგინოს ბავშვის საჭიროებები. ამის შემდეგ მომხმარებელს ენიჭება წვდომა ხელოვნურ ინტელექტზე, რომელიც დაეხმარება მშობელს, სწორად მიაწოდოს შვილს მასალა და, ამასთანავე მოახდინოს გარკვეული ინფორმაციის(დავალებების, სავარჯიშოების) გადამოწმება. AI დააგენერირებს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მოსწავლეზე მორგებულ მეთოდებსა და მიდგომებს, ასევე იმ აქტივობების ჩამონათვალს, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის განვითარებასა და პიროვნულ ზრდას. პარალელურად, მშობელს ექნება შესაძლებლობა შეადგინოს განრიგი, მიიღოს შეტყობინებები დაგეგმილ აქტივობებზე და ისარგებლოს ბლოგით, სადაც ახალი მომხმარებელი მიიღებს ინფორმაციას უკვე გამოცდილი მშობლებისგან. ამ ყველაფერთან ერთად კი მოხდება წინსვლის აღრიცხვა და შენახვა.

ჩვენმა პროექტმა მოიპოვა გამარჯვება დედოფლისწყაროს რაიონიდან და, ამასთანავე, მოხვდა საუკეთესო ხუთ პროექტს შორის. ეს კონკურსი ჩემთვის შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი გამოცდილება იყო. თითოეულმა მონაწილემ მიიღო უდიდესი ცოდნა დღევანდელობაში არსებულ საკმაოდ აქტუალურ საკითხებზე. ასევე განვითარა ისეთი მნიშვნელოვანი უნარები, როგორიცაა კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა და პრეზენტაბელურობა. ყველაზე მეტად მომეწონა ის გარემო, სადაც მოტივირებულ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეზიარებინათ თავიანთი იდეები, მიეღოთ შეფასებები უკვე გამოცდილი ადამიანებისგან, ესწავლათ როგორ შეიძლებოდა იდეები ექციათ რეალობად და დაენახათ გავლენა, რომელიც მათ შემოქმედებას შეიძლება მოეტანა საზოგადოებისათვის“.

მზია ბაშარული ***(ეპარქიის სკოლის პედაგოგი):*** „ჩვენ გვქონდა სტარტაპ პროექტი სახელწოდებით Hero mind, რომელიც ციფრულ თამაშზე დაფუძნებული ცოდნის მიღების ინტერაქტიული საშუალებაა. გუნდის წევრები იყვნენ: ქეთევან ყაჭაშვილი, ლუკა ყაჭაშვილი, ანი ყაზარაშვილი, მარიამ ყოჩიაშვილი და მარიამ მოდებაძე. შევქმენით თამაშის პროტოტიპი და საიტი, რომელშიც არის ჩაშენებული ხელოვნური ინტელექტი, რომელიც თამაშის შედეგების საფუძველზე აანალიზებს ბავშვის პასუხებს, ზომავს ბავშვის სხვადასხვა უნარებს, აგენერირებს ამ მონაცემებს პროგრესის რუკაზე, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე მშობლისთვის. დაჯილდოებას დაესწრო დედოფლისწყაროს მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მონაწილე ორივე გუნდს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა და აღნიშნა, რომ დაუფინანსებს ექსკურსიას საქართველოს ნებისმიერ კუთხეში“.

✍ ᏏᏂᏂᏗ ᎯᏂᏗᏍᏕᏂᏍᏉᏂᏍᏉᏂᏁ

„თავისუფლება ისე არ მოდის...“

ყველაფერი დაიწყო პირველი 26 მაისით, უფრო ზუსტად 1918 წლის 26 მაისით, როცა ტფილისში, სასახლის (კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციის) თეთრ დარბაზში, კვირას, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. მერე იყო თავისუფლების 1028 დღე და თავისუფალი ხალხის მიერ საზეიმოდ აღნიშნული 26 მაისი 1919-სა და 1920 წლებში. 1921 წლის 26 მაისს საქართველო უკვე ოკუპირებულია, თუმცა, რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ოკუპაციის პირველ წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ოკუპანტებმაც აღნიშნეს. როგორც ისტორიკოსები ამბობენ, იძულებული იყვნენ აღენიშნათ. ოკუპაციამ მოიტანა ხანგრძლივი, თითქმის 70 წლიანი წყვეტა, როცა არა თუ 26 მაისის, არამედ პირველი რესპუბლიკის ხსენებაც კი სასტიკად იკრძალებოდა. მხოლოდ ემიგრანტები და ცალკეული პატრიოტები, ისიც ვიწრო წრეში, თუ იხსენებდნენ ამ დღეს. ვითარება შეიცვალა 1988 წელს, როცა რამდენიმე ასეულმა მოქალაქემ გაბედა და პირველად საბჭოთა ოკუპაციის პირობებში მოაწყო მსვლელობა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად განაცხადა: „გაუმარჯოს 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!“

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საქართველოს ეროვნული დღესასწაულია, რომელსაც ყოველწლიურად 26 მაისს, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების ნიშნად აღვნიშნავთ. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ისგან საქართველო ოფიციალურად 1991 წლის 9 აპრილს გათავისუფლდა, ეროვნულ დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის 26 მაისს რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ორმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ - მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩასახულმა ეროვნულმა მოძრაობამ და პირველმა მსოფლიო ომმა - განაპირობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკამდელი მოვლენები

იმ დროს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, მოსახლეობა 2, 5 მლნ-ს შეადგენდა, ფართობი - 107,600 კვ.კმ-ს. დედაქალაქი კვლავინდებურად - თბილისი იყო, სახელმწიფო ენა კი - ქართული.

ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა ჩრდილოეთით, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი - სამხრეთით.

1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ, ამიერკავკასიაში ორხელისუფლიანობა დამყარდა: ერთი მხრივ, მუშათა და სამხედრო დეპუტატთა საბჭოები, მეორე მხრივ, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი, რომელთაც რეალური ძალაუფლება არ ჰქონიათ. ამავე პერიოდში საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა მოიწვიეს, რომელსაც ესწრებოდა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები. ყრილობამ საქართველოს ეროვნული საბჭო მოიწვია, პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა ამ გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამხრეთ კავკასია კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ადგილობრივმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ცნეს საბჭოთა ხელისუფლება და უკვე 1917 წლის ნოემბერში ჩამოაყალიბეს ადგილობრივი მმართველობა ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, რომელმაც რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთაგან შექმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - სეიმი.

1918 წლის თებერვალ-მაისში, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, საქართველო შედიოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. მას მართავდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც შედგებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთაგან. მაგრამ ფედერაცია არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რაც გამოწვეული იყო ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობით. ამას დაემატა თურქეთის მხრიდან აგრესია, რომელმაც დაიკავა ბათუმი, არტაანი, ოზურგეთი, საფრთხე შეექმნა ახალციხესა და ახალქალაქს.

1918 წლის 24-25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. სხდომაზე განხილულ იქნა თურქეთთან მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელის აკაკი ჩხენკელის წერილი, რომელშიც ის მოლაპარაკებებზე შექმნილ მძიმე სიტუაციას აღწერდა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. მიიღეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების თაობაზე. ამაზე სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი მთავრობის შემადგენლობა. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება რომ საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის საქართველოს პარლამენტი ეწოდებინათ.

რა მოხდა 1918 წლის 26 მაისს?

შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმება. 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მომდევნო დღეებში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სომხეთმა და აზერბაიჯანმა. მიიღეს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო:***„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელი, ხოლო საქართველო - სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა - დემოკრატიული რესპუბლიკა. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის“.***

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (ეროვნული საბჭო), ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მინისტრთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. პარლამენტიც და მთავრობაც კოალიციური იყო, მაგრამ ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ მუშები, არამედ გლეხებიც.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში მონარქია დაამხო. 2 მარტს ტახტიდან გადადგა ნიკოლოზ II და დამყარდა ორხელისუფლებიანობა – სამართლებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლებას ფლობდა დროებითი მთავრობა, ხოლო რეალურ ხელისუფლებას კი დეპუტატთა საბჭოები. ორხელისუფლებიანობა დამყარდა ამიერკავკასიასა და საქართველოშიც. რევოლუციის გამარჯვების შედეგად შეიქმნა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო, ხოლო 1917 წლის მარტში თბილისში მუშაობას შეუდგა რუსეთი დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი).

1917 წლის აპრილში თბილისში შეიქმნა ეროვნული ხელისუფლების ჩანასახი – საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. ინტერპარტიული საბჭო წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა ნებაყოფლობით გაერთიანებას. მან თავის თავზე აიღო ქართული ეროვნული მოძრაობის კოორდინატორის ფუნქცია – სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას.

1917 წლის 25 ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად შეიცვალა სიტუაცია. დაემხო რუსეთის დროებითი მთავრობა და ოზაკომმა მოქმედება შეწყვიტა. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოსთვის ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა შეეცდებოდა ხელისუფლების ახალი ორგანოს დანიშვნასა და თავისი იურისდიქციის გავრცელებას საქართველოში. ამიტომ ქართველი პოლიტიკოსების ინიციატივით ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა საბჭოთა რუსეთისგან გამიჯვნა გადაწყვიტეს. 1917 წლის ნოემბერში თბილისში ფუნქციონირება დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – ამიერკავკასიის კომისარიატმა. მას უნდა შეესრულებინა კომისარიატის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს ფუნქცია რუსეთში კანონიერი ხელისუფლების (დროებითი მთავრობის) აღდგენამდე.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ეროვნულმა ყრილობამ გადაწყვიტა საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ თუ რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენა დააგვიანებდა, მაშინ მონვეულ იქნებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს ნოე ჟორდანია.

1918 წლის იანვარში საბჭოთა რუსეთმა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი სამხედრო ძალით სცადა საქართველოს ოკუპაცია. ახლადშექმნილმა ჯარმა რუსეთის ჯარები სასტიკად დაამარცხა. გარდა ამისა, თურქეთი აგრესიას ამჟღავნებდა და არ მალავდა თავის ზრახვებს ამიერკავკასიის მიმართ. თურქეთის მხარე თავის სასარგებლოდ იყენებდა იმ ფაქტს, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა და მას მიიჩნევდა რუსეთის ნაწილად. ამიტომ თურქეთთან მოლაპარაკების გასაგრძელებლად საჭირო იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. შექმნილ სიტუაციაში, ამიერკავკასიის კომისარიატმა ამიერკავკასიიდან არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატებისაგან 1918 წლის თებერვალში მოიწვია საკანონმდებლო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც 1918 წლის 22 აპრილს გამოაცხადა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, რომელშიც შედიოდა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნამ ვერ გაუმჯობესა მდგომარეობა. თურქეთმა ბათუმის საზავო კონფერენციაზე უფრო მძიმე პირობები წამოაყენა. გარდა ამისა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ვერ თანხმდებოდნენ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. საქართველო გერმანოფილურ ორიენტაციას ირჩევდა, სომხეთი – ანგლოფილურს, ხოლო აზერბაიჯანი – თურქოფილურს.

1918 წლის მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ოფიციალურად დაადასტურა გერმანოფილური საგარეო-პოლიტიკური კურსი. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ოფიციალურად შეუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის მზადებას.

დამოუკიდებლობის აქტის მიღება

1918 წლის მაისის მეორე ნახევარში თურქეთის არმია აგრძელებდა შეტევით ოპერაციებს. მალე გაირკვა, რომ გერმანია უარს ამბობდა დაეცვა ანგლოფილური სომხეთი და თურქოფილური აზერბაიჯანი, ხოლო საქართველოს იმ შემთხვევაში დაიცავდა, თუ დაიშლებოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა და საქართველო სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.

1918 წლის 26 მაისს გოლოვინის გამზირზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, თავისი უკანასკნელი სხდომა ჩაატარა ამიეკავკასიის სეიმმა. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოცხადდა. იმავე დარბაზში შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. სხდომა გაიხსნა 4 საათსა და 50 წუთზე, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 5 საათსა და 10 წუთზე ერთხმად დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.

1919 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60%-მა. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლით, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციამდე, 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა მთავარი საზრუნავი პირველი რესპუბლიკის და 26 მაისის ხსოვნის შენარჩუნება იყო. 1921 წლის 26 მაისს დაშვებულ იქნა 26 მაისის აღნიშვნა, რადგან საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ჯერ მყარად არ იყო ფეხმოკიდებული. ამიტომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ თავად აღენიშნა 26 მაისი „საბჭოური შინაარსით“. გადაწყდა ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ღონისძიებების ჩატარება, რათა ამით ხელი შეშლოდა საპროტესტო აქციებს. 26 მაისი ოფიციალურად აღინიშნა სამხედრო პარადით და მშრომელთა მსვლელობით. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ფილიპე მახარაძე და სერგეი კიროვი. ოფიციალურ აღნიშვნას ხალხმა გამოუაცხადა ბოიკოტი. საპროტესტო შეკრება ჩატარდა თბილისში ძმათა სასაფლაოზე, რომელიც ხელისუფლებამ დაშალა.

1922 წლიდან საბჭოთა რეჟიმმა 26 მაისი ჩაანაცვლა 25 თებერვლით — თბილისში წითელი არმიის შესვლის დღით. საბჭოთა პროპაგანდა 25 თებერვალს წარმოაჩენდა ჭეშმარიტ დამოუკიდებლობის დღედ. 1922 წლის მაისში ხელისუფლებამ მიიღო წინასწარი ზომები, რომ აღეკვეთა ხალხის მიერ 26 მაისის აღნიშვნა. 24 მაისს უნივერსიტეტში დააპატიმრეს ივანე ჯავახიშვილი, ანდრია რაზმაძე და სტუდენტები. დიდი მიტინგი გაიმართა ვერის სასაფლაოზე, რომელიც ხელისუფლებამ დაშალა.

1991 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-სგან დამოუკიდებლობა იმავე წლის 9 აპრილს გამოცხადდა, ეროვნულ დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისი აღინიშნება.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სსრ-ის არჩევნებში კომუნისტური პარტია დამარცხდა და ხელისუფლება გადავიდა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ხელში.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90,3 %-მა, რომელთაგან 98,9 %-მა კითხვას დადებითად უპასუხა. ამის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნება. „ეს დღე რომ ჩვენია“ საზეიმო განწყობითა და სხვადასხვა აქტივობით მტკიცდება. ოფიციალურად უქმე დღეს ყველა ერთად, ხანაც ცალ-ცალკე თავისებურად, მაგრამ ერთი მიზნით აღნიშნავს.

„კვირაკარი" – ადგილი ახალი შესაძლებლობების გამოსავლენად

18 მაისს დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის გვერდით, ყოფილი ფოსტის შენობაში, საკვირაო სკოლა „ჩვენი სივრცე" გაიხსნა. წლების განმავლობაში სიჩუმით დახშული შენობა განსაკუთრებული ენერგიით აავსო – ბავშვების სიცილმა, მშობლების ღიმილმა და ერთმანეთისადმი გადანაწილებულმა სითბომ. საკვირაო სკოლა „კვირაკარიც" ამ დღეს ოფიციალურად გაიხსნა.

„პირველივე დღემ დაგვარწმუნა - ეს არის ზუსტად ის, რაც ყველას გვჭირდებოდა: ადგილი, სადაც ერთმანეთს ვამხნევებთ, ვახარებთ და ერთად ვქმნით დაუვიწყარ მოგონებებს.

18 საოცარი ბავშვი შემოგვიერთდა და ყველამ მოიტანა თავისი სინათლე, სითბო და ბავშვური სიხარული, რომელიც ყველაფერს განსაკუთრებულ იერს სძენს" - აცხადებს „შირაქთან" საუბარში სკოლის დამაარსებელი, პირველი საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი და არაერთი საგანმანათლებლო პროექტის გამარჯვებული - **მაია ლაპიაშვილი.**

- როგორ შეიქმნა „ჩვენი სივრცე"? როგორ გაჩნდა იდეა?

იდეა, რომ დედოფლისწყაროში შექმნილიყო სივრცე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, წლების განმავლობაში მომყვებოდა. სულ ვგრძნობდი, რომ რაღაც აკლდათ – ადგილი, სადაც იყვნენ თავისუფლები, ლაღები, ღიად დასვამდნენ კითხვებს, შექმნიდნენ, მოძებნიდნენ პასუხებს და თან გზად საკუთარ თავსაც იპოვიდნენ.

„ჩვენი სივრცე" ჩემთვის არის მცდელობა, რომ ზუსტად აქ, ჩვენს კოპწია ქალაქში, გაჩნდეს ალტერნატივა, ინოვაცია და განათლებაზე დაფუძნებული სიხარული.

-როგორ მოხვდით ამ გზაზე?

მასწავლებელი ვარ უკვე 25 წელია. ვასწავლი ბუნებას, მოქალაქეობასა და გეოგრაფიას, და ამ ხნის მანძილზე სულ ვეძებდი გზებს, რომ სწავლება იყოს მეტი, ვიდრე სახელმძღვანელოს გადმოცემა. ამიტომ დავიწყე არაფორმალური განათლების მიმართულებით მუშაობა, ჩავერთე ტრენინგებში, გავხდი ქოუჩი, მენტორი, ზოგადი და სკოლამდელი განათლების სერტიფიცირებული ექსპერტი... და ეს გზაც ზუსტად აქედან მოდის – იქიდან, რომ ერთ დღეს ვთქვი: „კიდევ უფრო მეტი მინდა გავაკეთო".

-იყო მხარდაჭერა? დაფინანსება?

ეს კითხვა ხშირად მესმის. სიმართლე გითხრათ, „ჩვენი სივრცე" მთავარი თვალსაზრისით - შიგნიდან აშენდა.

უკვე ხუთი წელია, რაც ვატარებ უსასყიდლო ტრენინგებს - როგორც ზრდასრულებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. ამ საქმიანობით შევძელი შემექმნა პირადი კაპიტალი, რომელიც განვიხილე, როგორც ინვესტიცია ჩემი თემის, ჩემი მოსწავლეების ოცნებებში.

ავეჯისა და ტექნიკის შეძენა კი შესაძლებელი გახდა Junior Achievement Georgia-ს მცირე გრანტით, რაც ჩვენი იდეის პირველი გარედან მიღებული მხარდაჭერა იყო.

მაგრამ „ჩვენი სივრცე" ჯერ კიდევ მანამდე არსებობდა, სანამ კარი გაიღებოდა – ის იქმნებოდა ბანაკებში, სასკოლო კლუბებში და ბოლოს მიიღო საკუთარი ადგილი.

-რას აკეთებთ „ჩვენი სივრცეში"? რა არის მისი მთავარი ფუნქცია?

ჩვენ არ ვართ მხოლოდ საგანმანათლებლო ცენტრი. „ჩვენი სივრცე" არის იდეების განხორციელების ადგილი - ბავშვები აქ იგებენ, რომ მათ აზრს ფასი აქვს. გვაქვს თემატური კვირეულები (მაგალითად, ევროკავშირის კვირეული, კოსმოსის დეკადა, ეკო-სკოლის კვირეული და სხვა), სოციალური კამპანიები, სიმულაციები , ბანაკები, თამაშები, მოსწავლეთა ორგანიზებული ტრენინგები, თემთან შეხვედრები...

-რა იყო ყველაზე ემოციური მომენტი?

ალბათ პირველი დღე, როცა ბავშვებმა კარი შემოხსნეს. მხოლოდ მე ვიცოდი, რამდენი ენერგია ჩავდე სივრცის შექმნაში, პროგრამების გაწერაში. მაგრამ მათი რეაქცია და აციმციმებული თვალები ამად ღირდა. ვიგრძენი, რომ ამ სივრცეს უკვე ჰყავდა ბინადრები. აქედანაც დაიბადა სახელი - ეს აღარ არის ჩემი პროექტი. ეს მათი სივრცეა.

-როგორი ხართ როგორც მასწავლებელი - და როგორ იყენებთ თქვენს პედაგოგიურ სტილს აქ?

ჩემი მთავარი პრინციპია - „მოსწავლე როგორც აქტორი, არა მიმღები". ყოველთვის ვცდილობ, რომ ისინი იყვნენ პროცესის ინიციატორები. ერთად ვქმნით კლუბებს, ვაწყობთ კვლევებს, კამპანიებს... ვასწავლი დაგეგმვას, მეთოდიკას, კრიტიკულ აზროვნებას და შემდეგ - მოქმედებას. ბევრ რამეს მათგან ვსწავლობ. აქ სწავლა მხოლოდ საკლასო გაკვეთილი არ არის. ეს არის პატარა საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც ბავშვების სულიდან იწყება. ყველა აქტივობის ორგანიზატორი ვართ მე და ბავშვები. საინიციატივო ჯგუფში 70-მდე მოსწავლეა გაერთიანებული, ხოლო ზოგადად ჩვენს აქტივობებში 300-მდე ბავშვი გვყავს ჩართული. საკვირაო სკოლა „კვირაკარში" ამჟამად 22 ბავშვი გვყავს დარეგისტრირებული. (6-დან 10 წლამდე). ეს არ არის საგანმანათლებლო სივრცე, ეს არის გასართობ-შემეცნებით-განმავითარებელი სივრცე. ბავშვთა სოციალიზაციის კუთხე, სადაც ისინი სრულად მოწყვეტილნი იქნებიან გაჯეტებს. ჩვენი ძირითადი მიმართულება ეკოსკოლაა და მასზე აგებული თემები.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უდიდეს ნდობას გვიცხადებენ და დარეგისტრირების სურვილს გამოხატავენ მშობლები, ადგილები უკვე შევსებულია თითქმის. 20 ივნისიდან ვიწყებთ საზაფხულო სკოლის პერველ დეკადას ორ ასაკობრივ კატეგორიაში -5-7 და 8-10 წლის ბავშვებში, ორ საკლასო ოთახში. გვაქვს დიდი საერთო სივრცეც საერთო აქტივობებისთვის. პირველი ნაკადი უფასოა, ხოლო შემდგომ სიმბოლურად 40 ლარი იქნება გადასახადი ელემენტარული საჭიროებებისათვის. 22 მოსწავლიან ჯგუფს ჰყავს 5 ლიდერი მასწავლებელი, ანუ თითოეულ ლიდერს 5 ბავშვის მეთვალყურეობა ევალება ყოველდღიურად, ამასთანავე, სია ცვალებადია თითოეულ დღეს. „ჩვენ სივრცეს" ჰყავს 10 კურატორი, 2 მენეჯერი და 1 მენტორი.

-რა გეგმები გაქვთ მომავალში?

მინდა „ჩვენი სივრცე" იყოს მაგალითი სხვებისთვისაც. გვექნება საზაფხულო სკოლა-კლუბი 5-10 წლის ბავშვებისთვის, გვინდა გავაგრძელოთ უფროსკლასელთა ბანაკები, გავზარდოთ თემთან კავშირი, დავიწყოთ მენტორობა, შევთავაზოთ ტრენინგები იმ მასწავლებლებთან, ვისაც სჯერათ, რომ რეგიონშიც შეიძლება განათლების ხილული რეფორმა.

მოკლედ რომ ვთქვა - „ჩვენი სივრცე" ახლა იწყებს ფუნქციონირებას, საკვირაო სკოლა სრულადაა შევსებული, ხოლო საზაფხულო სკოლის პირველი ჯგუფი უკვე შეივსო – ეს ჩვენთვის უდიდესი მოტივაცია და ამავდროულად პასუხისმგებლობაა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს სივრცეს ენდობიან. ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტია ხარისხი და თითოეული მონაწილის კმაყოფილება – სწორედ ამ ნდობაზე შენდება ჩვენი მომავალი.

დასასრულს, გვინდა წარმატტეტები ვუსურვოთ ახალი და განსხვავებული, ბავშვების სწორ აღზრდასა და განვითარებაზე მორგებული სამომავლო სივრცის შექმნა მაია მასწავლებელს და მის ახალგაზრდა გუნდს.

პროფესიული განათლება - გზა წარმატებული კარიერისკენ

პროფესიული განათლება მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ნაბიჯია ადამიანისთვის, რომელიც სწრაფად და პრაქტიკულად ცდილობს სამუშაო ბაზარზე თავის დამკვიდრებას. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ტექნოლოგიები და ინდუსტრიები დინამიურად ვითარდება, პრაქტიკული უნარებისა და ცოდნის ფლობა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე აკადემიური განათლება. პროფესიული განათლება მიზნად ისახავს კონკრეტული პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს მოკლე დროში გახდეს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე.

პროფესიული განათლება აძლიერებს ინდივიდის შრომით შესაძლებლობებს და ზრდის მის შანსებს დასაქმებისთვის. მაგალითად, ტექნიკური პროფესიების სფეროში – როგორიცაა ელექტრონიკა, მშენებლობა, ავტომექანიკა ან კვების ტექნოლოგიები – პროფესიული განათლების მქონე პირები ხშირად უფრო სწრაფად პოულობენ სამუშაოს, ვიდრე ზოგადი განათლების მქონე პირები. ეს ნიშნავს, რომ პროფესიული განათლება პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და სტაბილურობას.

საზოგადოების დონეზეც პროფესიული განათლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ის ხელს უწყობს ეკონომიკის გაძლიერებას, სამუშაო ადგილების შექმნას და სოციალური უთანასწორობის შემცირებას. განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, პროფესიული განათლება შეიძლება გახდეს სიღარიბის დაძლევის და ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა.

რაც შეეხება პროფესიული განათლების გამოყენებას საზღვარგარეთ, ეს შესაძლებელია რამდენიმე გზით. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატებისა და დიპლომების ფლობა. ბევრი ქვეყანა აღიარებს ევროკავშირის ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ სტანდარტებზე დაფუძნებულ პროგრამებს. მაგალითად, ისეთი სერტიფიკატები, როგორიცაა Europass ან გერმანული Duale Ausbildung-ის სქემა, საშუალებას აძლევს პროფესიონალებს იმუშაონ სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში.

მეორეც, სხვადასხვა ქვეყანა უცხოელ პროფესიონალებს სთავაზობს სპეციალურ პროგრამებს, რომლითაც ისინი ახდენენ უცხოური დიპლომების აღიარებას ან კვალიფიკაციის დადასტურებას. მაგალითად, გერმანიაში მოქმედებს ისეთი კანონი, რომელიც საშუალებას აძლევს უცხო ქვეყნებში მიღებული პროფესიული კვალიფიკაციის ტოლობის დადგენას და ადგილობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

გარდა ამისა, თანამედროვე ციფრული პლატფორმები და სხვა პროფესიული სასწავლო ონლაინ კურსები, ასევე ითვლება სერიოზულ მხარდაჭერად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლისწყაროს პროფესიული სასწავლებელი „აისი" წარმატებით მუშაობს და ყოველწლიურად ზრდის ახალ კადრს სხვადასხვა პროფილის მიხედვით. განსაკუთრებით კარგად იყენებენ ჩვენი ახალგაზრდები უცხოეთის ქვეყნებში აქ დაუფლებულ შემდუღებლის და საინჟინრო მიმართულების პროფესიებს. დღითიდღე მატულობს ამ პროფესიებზე სწავლის მოთხოვნაც. კვალიფიციური და პრაქტიკულად გამოცდილი პედაგოგები სტუდენტებს აქტუალურ და ბაზარზე მოთხოვნად უნარებს ასწავლიან. პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნებზეა მორგებული და რეალური დასაქმების პერსპექტივა გააჩნია. პროფესიული სასწავლებელი „აისი"ასევე გამოირჩევა თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, ლაბორატორიებითა და სახელოსნოებით.

გვერდი მოამზადა
✍ელზა ხარაშვილმა

„გიორგი რუსის“ საფლავი მირზაანშია?!

თამარ მეფე იყო დავით აღმაშენებლის შვილიშვილი. გიორგი III, მამამისმა დემეტრემ ახალგაზრდობაშივე დააქორწინა ოსთა მეფის ხუდანის ასულზე სახელად გურდუხან, რომელიც ყოფილა უმშვენიერესი ქალი. „მისებრი რძალი არ ეხილა ქართლისა თემსა“. 1166 წელს გაუჩნდათ ასული, რომელსაც დარქვეს სახელად თამარი. შემდგომ შეეძინათ მეორე ასული რუსუდანი.

1177 წელს საქართველოში დაიწყო მინაოში. საქართველოს ჯარის ამირსპასალარმა ივანე ორბელმა, დაიწყო აჯანყება გიორგი მეფის ტახტიდან ჩამოგდების მიზნით. მიზეზად მოიყვანეს ის, რომ ტახტი დავით V-ის (გიორგი III-ის უფროსი ძმა) შვილს დემნა უფლისწულს ვუთვნისო. გიორგი III-მ აჯანყებულები დაამარცხა და ისინი სასტიკად დასაჯა. დემნა უფლისწულს თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს, ორბელები კი ძირიანად მოთხარეს. მეფემ შეთქმულებაში მონაწილე ყველა დიდგვარიანი მოხელე გადააყენა და მათ მაგიერ პირადი ღირსებით გამორჩეული პირები დანიშნა.

საქართველოს ჯარის მხედართმთავრად ნაყივჩაყარი ყუბასარი დანიშნა. ამგვარადვე მსახურთუხუცესის თანამდებობა მისცა აზნაურთა ყმობიდან აღზევებულ აფრიდონს, ბევრი ამ აღზევებული მოხელეებიდან სრულიად უგვარო იყო. მეფის ეს ღონისძიება მოუსვენარი დიდგვაროვანი აზნაურების წინააღმდეგ იყო აშკარად მიმართული.

ძლიერად იყვნენ წარმოდგენილი დიდგვაროვნები ასევე ეკლესიაშიც. აჯანყების ჩახშობის შემდეგ დედაქალაქში დაბრუნებელ მეფეს საეკლესიო კრება დახვდა, რომელმაც მას მოსთხოვა საეკლესიო ქონებასა და მამულებზე გადასახადები გაეუქმებინა, ეკლესიის შეუვალობა აღედგინა. გიორგი III იძულებული გახდა მათი მოთხოვნები შეესრულებინა.

ამ მოვლენებიდან გამომდინარე, რაკი მეფეს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, 1178 წელს, გიორგი III-მ თავისი ქალიშვილი თამარი მეფედ აკურთხა და თანამმართველად გამოაცხადა. რა თქმა უნდა, იყვნენ მოწინააღმდეგეებიც. ნაჭარმაგევის სასახლეში დარბაზის ერმა მოიყარა თავი და თამარის წინაშე დაიფიცეს მის ერთგულებაზე.

1184 წლის 27 მარტს გიორგი III გარდაიცვალა კახეთში. ეს სამწუხარო ამბავი შეატყობინეს „თამარსა ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა მათსა ციხესა ისანსა“.

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, გიორგი III-მ იმეფა 28 წელი და „მიიცვალა სტაგირს კახეთისასა და დამარხეს მცხეთას სიმელისაგან ჟამთა და მასვე წელს გელათს წაიყვანეს“- ო.

გარდაიცავალა თუ არა გიორგი III, სამეფო კარზე კვლავ ბრძოლა ატყდა.

მიუხედავად იმისა, რომ თამარი მამის სიცოცხლეშივე იყო მეფედ ნაკურთხი, სახელმწიფო დარბაზის წევრთა შორის ეს საკითხი ისევ საცილობლად გადააქციეს. თამარის მომხრეებს ის არგუმენტიც ჰქონდათ, რომ საქართველოს განმანათლებელი ქალი იყო წმინდა ნინო და საქართველო იყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

დიდი მსჯელობის შემდეგ, დარბაზმა თამარს მეფობის დასტური მისცა და, როგორც სამეფოს მეთაურსა და მთავარსარდალს, წელზე ხმალი შემოარტყეს.

ამ ზეიმის შემდეგ უმალ თავი წამოყო ყველამ, ვინც უკმაყოფილო იყო. მათ მოითხოვეს, გიორგი III-ის დროს აღზევებული უგვარო მოხელეების გადაყენება.პირველ რიგში კი, ყუბასარის და აფრიდონის. თამარმა დათმო. ეს, რა თქმა უნდა, მეფის მარცხი იყო.

დიდგვაროვანთა გამოსვლა ჯერ დამცხრალი არ იყო, რომ მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა მეფეს ახალი მოთხოვნა წაუყენა. ამ მოთხოვნით, ისანში სამეფო სასახლის გვერდით უნდა დაარსებულიყო ე.წ. „კარავი“– სახელმწიფო დარბაზის მსგავსი.

ისანში მეფის სასახლე და დარბაზიც ერთად იყო. დარბაზის მოწვევა მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და გადაწყვეტილებებსაც მეფე იღებდა ერთპიროვნულად.

ყუთლუ-არსლანის და მისი მომხრეების დასი მოითხოვდა, ყველა სახელმწიფო საკითხი მათ განეხილათ და გადაწყვეტილებები მეფისგან დამოუკიდებლად მიეღოთ - საკანონმდებლო ხელისუფლება მათი იქნებოდა, მეფეს კი აღმასრულებელ ფუნქციას უტოვებდნენ.

მეფის ბრძანებით, ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს, მაგრამ მისმა მომხრეებმა იარაღი აისხეს და მეფის სასახლეს ემუქრებოდნენ. აჯანყებულებს მოსალაპარაკებლად თამარმა ორი საპატიო მანდილოსანი გაუგზავნა „ხუაშაქი ცოქალი-დედა ქართლის ერისთავთ ერისთავის რატის და კრავაი ჯაყელი-დედა აწ მყოფთა სამძივართა“.

შეთანხმება ურთიერთდათმობით გახდა შესაძლებელი. „კარვის“ დაარსება უარყოფილ იქნა, მაგრამ, თამარმა დარბაზის სახელმწიფო საქმიანობაში მონაწილეობის განსაკუთრებული უფლება აღიარა.

ამ დროიდან დიდი თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ თამარის ისტორიკოსი ყოველთვის ასე ამბობს: „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა“ თამარმა დაამტკიცა ესა და ეს პირიო.

დიდგვარიანი აზნაურები, ამის შემდგომაც თამარის წინააღმდეგ არაერთხელ გამოსულან. ისინი თამარის პირად ცხოვრებაშიც ერეოდნენ.

ამ კუთხით დიდად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თამარ მეფის დაქორწინების საკითხი. ორი კანდიდატურა იყო წამოყენებული თამარის საქმროდ. თამარის მომხრეებს ჰყავდათ თავიანთი კანდიდატი - ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე პირველი კომნენოსის ძე - ალექსი. ალექსის მამა ანდრონიკე, თამარის მამის გიორგი III-ის მამიდაშვილი იყო და ალექსი საქართველოს სამეფო კარზე აღიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ თამარი წინააღმდეგი იყო, დარბაზმა გადაწყვიტა და თამარის საქმროდ შეარჩია ვლადიმირ სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი-იური, იგივე გიორგი რუსი. ანდრია ბოგოლიუბსკის ბოიარებმა შეთქმულება მოუწყეს და მთავრის ტახტი ხელში ჩაიგდო იურის ბიძამ - ვსევოლოდმა. ბიძისაგან დევნილი იური ყივჩაყებთან იყო თავშეფარებული. 1185 წელს დიდვაჭარმა ზანქან ზორაბაბელმა გიორგი რუსი ჩამოიყვანა და თამარზე დააქორწინეს.

გიორგი რუსის დახასიათება: „საქართველოს სიძე ყოფილა, მოყმე სახეკეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭრუეტელთაგან საჩენი გუარისშვილად“. მალე დადასტურდა, რომ სიმამაცე და მხედრული ნიჭიც არ ჰკლებია. ქართველებმა მისი სარდლობით ზედიზედ წარმატებით დალაშქრეს კარის, კარნიფორისა და ბასიანის თურქთა ბანაკნი. ეს მოხდა 1186 წელს, ხოლო მომდევნო წელს მისი სარდლობით ქართველებმა განვლეს ირანი, შეიჭრნენ პართიაში, აიღეს იქაური ქალაქები, ნადავლი და ტყვეები წამოასხეს და ისე მობრუნდნენ „თამარს სუე-სრულსა და ნათელბრწყინვალების წინაშე“.

მაგრამ მალე გამჟღავნდა ისიც, რომ ბრძოლაში საქები ვაჟკაცი შინაოჯახურ ცხოვრებაში საშინლად აუტანელი აღმოჩნდა და თამარი იძულებული გახდა ქმარს გაყროდა. მისი ბრძანებით, დიდი პატივისცემით, აურაცხელი სიმდიდრით სავსე ხომალდში ჩასვეს და კონსტანტინოპოლს გაისტუმრეს.

აქ აღსანიშნავია, რომ „მოწყალისა და გაურისხებლის“ გულის პატრონს, თამარს, ეცოდებოდა უბედური რუსი, მაგრამ მაინც „ცრემლმდინარეობასა შინა თამარისა“ იგი გაძევებულ იქნა.

1189 წელს 23 წლის თამარმა მეორედ იქორწინა დავით სოსლანზე. იგი ოსთა მეფის ჯადრონის ძე იყო და ბაგრატიონთა სისხლით თანაზიარი.

გიორგი რუსმა ორჯერ მოაწყო აჯანყება თამარის წინააღმდეგ. პირველად 1191 წელს. ის ერზერუმის გზით შემოვიდა საქართველოში. მის მხარეზე გადავიდა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს დიდებულთა დიდი ნაწილი. ვარდან დადიანის თაოსნობით, ის გეგუთის სამეფო სასახლეში მეფედ გამოაცხადეს. თამარის ერთგულმა ჯარებმა აჯანყებულები გაანადგურეს ჯავახეთში. ეს ბრძოლა ისტორიაში შესულია „ნიალის ბრძოლის“ სახელით. დანარჩენმა აჯანყებულებმა ბრძოლა შეწყვიტეს, თამარს გიორგი რუსი მოუყვანეს ნაჭარმაგევის სასახლეში და პატიება ითხოვეს. თამარმა გიორგი კვლავ გააძევა საქართველოდან. 1193 წელს გიორგი რუსი კვლავ შემოვიდა საქართველოში, ამჯერად კამბეჩოვანის მხრიდან, მაგრამ მას აღარავინ მიემხრო.

მის რაზმს ხორნაბუჯის პატრონი საღირ მახატაგის ძე და მისი სამი ვაჟი, მცირედი ლაშქრით, ისე, რომ თამარ მეფისთვის არ შეუტყობინებიათ, დაეწივნენ, ბრძოლაში დაამარცხეს გიორგი რუსი და მისი რაზმი. გიორგი რუსი გაიქცა ორი მხლებლით და „გარდაიხუეწა“. ამის შემდეგ მისი კვალი აღარსად ჩანს.

რაც შეეხება ჩვენში არსებულ ლეგენდას, რომ ზემოთ აღნიშნული ბრძოლა თითქოს ოზაანის ბოლოს, პრასიანის ხევის მიმდებარე პატარა მინდორზე მოხდა, სადაც შეებრძოლნენ გიორგი რუსსა და მის მომხრეებს, სადაც იგი მძიმედ დაიჭრა, გარდაიცვალა და დაიკრძალა სოფელ მირზაანში მდებარე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მახლობლად, კავთის წმინდა გიორგის მცირე ეკლესიაში, ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებული არ არის.

სამარხის გარეგანი აღწერილობა

საფლავის ქვა მასიურია, ორნამენტებით შემკობილი. სავარაუდო წარწერის ადგილზე 20/20-ზე მთლიანი ქვის სიღრმეზე სიცარიელეა. იქვეა თხელკედლიანი ქვევრის მსგავსი ჭურჭლის ნატეხები. ქვა მოლურჯო ფერისაა, სავარაუდოდ მარმარილო. ადგილობრივი სხვა საფლავების დათვალიერებით, მსგავსი ფერისა და ზომის ქვა ვერ აღმოვაჩინე. ერთადერთი წარწერა არის ზემო აღნიშნული ეკლესიის დასავლეთ ფასადის ზედა მაჯვენა კუთხეში, ქვაზე ამოკვეთილი (ქვიშაქვა.)

ნარკვევს თან ახლავს ფოტომასალა.

პ.ს. მკითხველს მსურს განვუმარტო, რომ ზემოთ აღნიშნული დასკვნები, მხოლოდ პირადი დაკვირვებისა და კვლევა-ძიების შედეგია და ის ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებული არ არის.

ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო ჟუჟუნა ყანჩაშვილს, პროფესიულ დონეზე გადაღებული ფოტო-მასალისთვის, ქ-ნ ლალი გურასპაულს, ბატონებს სერგო ქართველიშვილს, გიორგი ნატროშვილს და გელა ლობჟანიძეს თანადგომისა და საკითხით დაინტერესებისთვის.

გენადი ჯანაშვილი
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

საქართველო - მალარიისგან თავისუფალი ქვეყანა

ქინაქინა — დავიწყებული გმირი

გახსოვთ ქინაქინა?

ეს მცირე ზომის მოთხრობა ბავშვობაში ყველას გულს გვიჩუყებდა. ქინაქინა მალარიის წამალი იყო — ჭრილობაზე დართული იმედი. ქინაქინა მზადდებოდა ქინქოას ხის ქერქისგან და მალარიის ცხელებით შეპყრობილ ადამიანებს სწორედ ამ საშუალებით კურნავდნენ.

მალარია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი დაავადებაა. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტურ პაპირუსებზე ვხვდებით მის სიმპტომებს — განმეორებადი ცხელება, სისუსტე, სისხლის დაქვეითება. მეცნიერულად კი მალარიის საიდუმლოს ფარდა XIX საუკუნეში აეხადა: ფრანგმა ექიმმა პირველად ადამიანის სისხლში აღმოაჩინა პარაზიტი, ხოლო ბრიტანელმა რონალდ როსმა დაამტკიცა, რომ დაავადება კოღოს (ანოფელესის) მეშვეობით გადაეცემა. როსმა ამ აღმოჩენისთვის 1902 წელს ნობელის პრემია მიიღო.

დრო გავიდა. მეცნიერებამ ახალი ნაბიჯები გადადგა. საკვირველია, რომ მალარიის ვაქცინა მხოლოდ ახლა — 2023 და 2024 წლებში დამტკიცდა და ის მხოლოდ რამდენიმე აფრიკულ ქვეყანაში გამოიყენება, სადაც დაავადება კვლავ ცოცხალია.

საქართველოში კი მალარია სრულად აღმოფხვრილად მიიჩნევა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ქვეყანას შეესაბამისი სერტიფიკატი გადასცა. ეს ნიშნავს, რომ ქინაქინა, როგორც ბევრ ძველ ლეგენდას, აქტუალობა აღარ აქვს. მასთან ერთად გავიდა ეპოქაც, რომელსაც ბავშვობაში გულით ვგრძნობდით.

ქინაქინა აღარ გვჭირდება. და მაინც, ის რჩება იმ ემოციურ მეხსიერებაში, სადაც ბავშვობის სევდიანი გმირები სახლობენ.

მოამზადა
✍ელზა ხარაშვილმა

თქვენი ქმარი მექალთანეა?

როგორ უნდა იცხოვროთ ქალების მოყვარული ქმრის გვერდით ისე, რომ ჯანმრთელობა, მშვიდი ცხოვრება და ნერვები შეინარჩუნოთ?

პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოთ, რომ მამაკაცებიშ რამდენიმე ტიპი არსებობს და ამ გარემოების გათვალისწინებით ფსიქოლოგები მათ მიერ სიყვარულის განცდის სქემას გვთავაზობენ:

რა არის ვნება?

ეს არის ძლიერი და ამავე დროს სექსუალურად შელამაზებული გრძნობა.

რა არის მიჩვევა?

ეს არის პარტნიორის ყოლის საჭიროება და ზოგჯერ–აუცილებლობაც, თუმცა, იგი ჯერ კიდევ არ არის ძლიერი და ღრმა გრძნობა.

რა არის სიყვარული?

ეს გრძნობა იმ ადამიანის მიმართ გვიჩნდება, რომელიც ცხოვრებაში ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი თავი. შეჩვევისგან და ვნებისგან განსხვავებით, სიყვარულს არ შეუძლია თქვას „არა“.

გთავაზობთ მექალთანე მამაკაცების რამდენიმე ფსიქოლოგიურ ტიპს

თქვენს გვერდით რომელია?

1) მექალთანე–რომანტიკოსი

ამ მამაკაცს უყვარს არა კონკრეტულად ქალი, არამედ ზოგადად, სიყვარული, როგორც რომანტიკული გრძნობა. ის მზად არის, საკუთარი ვნებისა და სურვილის მისაღწევად ნებისმიერი წინააღმდეგობა გადალახოს. ამ ტიპის მამაკაცებს სიყვარული ხიბლავს ყოველგვარი მოღვაწეობის გარეშე.

საკმარისია მასთან სერიოზულ ურთიერთობებზე წამოიწყოთ საუბარი, რომ ყველაფერი დასრულდეს. ისინი, როგორც წესი, მომხიბლავი და ემოციური ადამიანები არიან, შეუძლიათ ლამაზად საუბარი, რითაც ხშირად იპყრობენ მანდილოსნების გულებს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კატეგორიის კაცი დაოჯახებას გადაწყვეტს, მისი რჩეული უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი ადამიანი.

ის „მონადირეა“ და მისი შენარუნება მხოლოდ გარკვეული დისტანციის დაცვით არის შესაძლებელი.

2) თავდაჯერებული მექალთანე.

ამ ტიპის მამაკაცი, შეიძლება ითქვას, გარემო პირობების მსხვერპლია, რომლის ჩამოყალიბებაშიც დიდი როლი ითამაშა საკუთარი თავისადმი უნდობლობამ. წარსულში მისი სიყვარული ან უარყო, ან დაამცირა ქალმა. შეიძლება ბავშვობასი მას დედის მზრუნველობაც აკლდა, ამიტომ მუდმივად ცდილობს ქალებს სამაგიერო გადაუხადოს. მისი მიზანია, დაიპყროს მაქსიმალურად ბევრი და ლამაზი ქალი. ის არ ეძებს ერთადერთ სიყვარულს, გადატანილი დამცირების გამო, ამ გრძნობაზე საერთოდ უარს ამბობს. ამ ტიპის კაცი ოჯახს მხოლოდ იმ შემთხვევაში ქმნის, როცა ძლიერ და მომთმენ ადამიანს იპოვის.

3) სექსუალური მექალთანე.

ის ბობოქარი ჰორმონების ტყვეობაშია. მისთვის ერთი ქალი არასდროს არის საკმარისი. სექსისადმი გაათმაგებული მოთხოვნილება აქვს, რასაც არ მალავს.

ოჯახს რაც შეეხება, ის მხოლოდ რკინის ნერვებიან ქალზე თუ იქორწინებს, რომელიც მთელი ცხოვრება ქმრის საქციელის გაკონტროლებას შეძლებს.

თუ თქვენი ქმარი ამ კატეგორიას მიეკუთვნება, დარწმუნებული იყავით, რომ მას სხვა ქალთან სერიოზული არაფერი აკავშირებს–რადგან მან თქვენ აგირჩიათ, ე.ი. უყვარხართ კიდეც.

4) პლატონური მექალთანე.

უყვარს ქალები და ყველა მათგანს კომპლიმენტებს ეუბნება, ნებისმიერი მანდილოსნით აღფრთოვანებულია. ამ ტიპის მექალთანე არასდროს ლაპარაკობს სიყვარულზე, რადგან ეს გრძნობა მხოლოდ ერთი ადამიანის მიმართ აქვს.

ის აფასებს ისეთ სიყვარულს, რომელიც პრობლემას და ნერვიულობას მოკლებულია.

გესო გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

მაღალი სასულიერო იერარქი შთამბეჭდავი ბიოგრაფიით სოფელ არბოშიკიდან

ქართველი სასულიერო მოღვაწე, წმინდა სინოდის წევრი – მიტროპოლიტი გიორგი (ერისკაცობაში – დავით გიორგის ძე ალადაშვილი; დაიბადა 1850 წლის 8 დეკემბერს, ცარსკიე კალოდცის (დედოფლის წყაროს) სოფელ არბოშიკში. ახლანდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი – გარდაიცვალა 1924 წლის 28 თებერვალს, ამავე სოფელში და დაკრძალულია იქვე. მისი სასულიერო მოღვაწეობა ძალზე მრავალფეროვანი და შთამბეჭდავია.

1864 წელს სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, 1869-1975 წლებში — თბილისის სასულიერო სემინარიაში, რის შემდეგაც დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგად. 1884 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდებით.

1899 წლის 25 სექტემბერს ბერად აღიკვეცა. ამავე წლის 3 ოქტომბერს აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1902 წლის 16 მარტს აირჩიეს იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და დაინიშნა დავითგარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტრის წინამძღვრად. 1905 წლის 25 სექტემბერს ხელდასხმულ იქნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად. 1905 წლის ოქტომბრის ბოლოს იყო წევრი დეპუტაციისა მეფისნაცვალთან, რომელიც მიზნად ისახავდა აჯანყებულ გურიაში რეპრესიების შეჩერებას. 1908 წლის 1 თებერვალს დაინიშნა იმერეთის ეპისკოპოსად. 1912 წლის 11 აპრილიდან შეთავსებით გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში. 1917 წლის 12 (25) მარტს ხელი მოაწერა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის აქტს, თუმცა ეგზარქოსთან შეხვედრისას განაცხადა, რომ აქტზე ხელის მოწერა გამოიწვია გამოუვალმა ვითარებამ. ამ განცხადებას ეპარქიის მხრიდან მოჰყვა სრული უნდობლობის გამოცხადება, რის გამოც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მას მღვდელმთავრობა შეუჩერა, ხოლო 1917 წლის 8-17 სექტემბერს გამართულმა I საეკლესიო კრებამ იმერეთის ეპისკოპოსის თანამდებობიდან გადააყენა.

1918 წლის 1 აგვისტოდან მიტროპოლიტმა ლეონიდემ ის წილკნის ეპარქიის მმართველად დაადგინა. 1920 წლის ივლისში ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი გახდა და დროებით ბათუმ-შემოქმედის ეპარქიასაც განაგებდა. 1922 წელს საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე, პენსიაზე გავიდა და 1922 წლის 17 ოქტომბერს ხირსის წმ. სტეფანეს მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1924 წელს ბოლშევიკების მიერ ხირსის მონასტრის დარბევის შემდეგ, იძულებული გახდა თავის სოფელ არბოშიკში დაბრუნებულიყო.

შთამბეჭდავი ბიოგრაფიის გარდა მაღალ სასულიერო იერარქს ჯილდოებიც არ აკლდა. მიტროპოლიტ გიორგის მიღებული აქვს არაერთი საეკლესიო ჯილდო — სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება, წმ. ვლადიმირის IV, წმ. ანას I და II ხარისხის ორდენები. დაკრძალულია სოფელ არბოშიკის წმ კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის გალავნის ჩრდილოეთ კედელთან.

ერთი კადრი წარსულიდან

1930-იანი წლები, შირაქის ველზე გაშენებულ სოფლებში მიწური სახლები ამგვარად ნაგებმა სახლებმა შეცვალა. სოფელ ზემო ქედის ერთ-ერთი მცხოვრების საცხოვრისი. გაზეთ „შირაქის“ ფოტო. დაცულია რედაქციაში.

ზემო ქედში ტაძარზე ჯვარი აღმართეს

სოფელ ზემო ქედში ახლადაგებულ ტაძარზე უძლეველი ჯვარი აღმართეს. ტაძარზე ჯვრის დადგმა შემოწირულობებით მოხერხდა. ასევე შემოწირულობით აშენდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია და მშენებლობის პროცესი დღემდე გრძელდება. გარე სამუშაოები უკვე დასრულდა, კეთილმოსაწყობია შიდა სივრცე.

ჯვრის აღმართვამდე წირვა აღავლინეს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა, რა დროსაც ჯვარი აკურთხეს. ტაძარში შეიკრიბნენ ადგილობრივები, რის შემდეგაც ტრადიციულ დოღს დაესწრნენ.

ამჟამად სოფელში ორი მშენებარე ეკლესიაა, ორივე მათგანი ადგილობრივთა შემოწირულობებით შენდება.

მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა

მუზეუმების საერთაშორისო დღე ყოველწლიურად 18 მაისს აღინიშნება და მიზნად ისახავს მუზეუმების როლის წარმოჩენას საზოგადოების განვითარებაში. ეს დღე პირველად 1977 წელს მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) ინიციატივით დაარსდა.

18 მაისს, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მუზეუმების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, უამრავი დამთვალიერებელი ესტუმრა. სტუმრებს შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ადგილობრივი პრესის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები, ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მუზეუმის ხელმძღვანელმა ლალი გურასპაულმა დამსწრე საზოგადოებას მუზეუმების საერთაშორისო დღე მიულოცა: „მსოფლიოს 150 ქვეყანა აღნიშნავს მუზეუმების საერთაშორისო დღეს. მუზეუმის ფუნქციაზე საუბარი ზედმეტია, ყველამ ვიცით რა საგანძურს ინახავს ის. ეს არის წარსული, რომელმაც უნდა მოგვიტანოს მომავალი. აუცილებლად, ყოველმა თქვენთაგანმა კარგად უნდა იცოდეთ იმ საგანძურის შესახებ, რომელიც ჩვენს

მუზეუმშია დაცული, რადგან მან უნდა შექმნას თქვენი ღირსეული მომავალი. დღევანდელ დღეს ჩვენი მუზეუმის თანამშრომლებმა მოამზადეს მოხსენება წმ. ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და მისი მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ. ასევე მოხსებებით წარსდგენენ წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები, გარდა ამისა, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის აღსაზრდელებმა მოგვილოცეს დღევანდელი დღე. მადლობა მათ ამისთვის,თითოეულ სტუმარს მობრძანებისთვის. ყველა მუზეუმელს კი ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს. წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებ პროფესიულ საქმიანობაში“.

გაიმართა შემეცნებითი კონფერენცია, სადაც განიხილეს თემები ქეთევან დედოფლის ცხოვრებასა და მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ. მომხსენებლები გალხდნენ: ნინო პოპიაშვილი, დალი ბაღაშვილი და ლალი ბასილაშვილი. სამივე მომხსენებელმა ამომწურავად ისაუბრა ქეთევან დედოფლის განვლილ ცხოვრებაზე, მის სულიერ სიმტკიცეზე, სამშობლოსა და სარწმუნოების სიყვარულზე, დიდმოწამე, დედოფალზე, რომელიც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა.

მუზეუმის ფოიეში მოეწყო მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა მიერ ქეთევან დედოფალთან დაკავშირებული ნახატების გამოფენა. ამავე სკოლის მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა ისაუბრეს ქეთევან დედოფლის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ. მათი გამოსვლა მხატვრულად გააფორმა ამავე სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლემ ნათია წიკლაურმა (პედაგოგი ნინო ლოლაშვილი).

სიტყვით გამოვიდნენ და დამსწრე საზოგადოებას მუზეუმების სართაშორისო დღე მიულოცეს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა.

თამარ თამაზაშვილი: „გილოცავთ ყველას მუზეუმების საერთაშორისო დღეს. წარსულის შემონახვა და დაფასება ის მნიშვნელოვანი საქმეა, რითაც უნდა გაგრძელდეს სიცოცხლე. თუ ჩვენს წარსულს არ დავაფასებთ, არ გვექნება მომავალი. მიხარია, რომ დღეს ბევრი ბავშვი ესწრებოდა ამ ღონისძიებას. ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასწრება, მათ გონებაში ილექება მოსმენილი ინფორმაცია და შედეგად, ისინი მომავალში იმ ჭეშმარიტ ღირებულებებზე გაიზრდებიან, რამაც უნდა გააბრწყინოს საქართველო. დიდი მადლობა ყველას, პედაგოგებსაც და დამსწრე საზოგადოებასაც მობრძანებისთვის, წარმატებებს გისურვებთ“.

დოდო ხუნაშვილი: „თავი მოვიყარეთ ყველამ, რადგან დღეს მუზეუმების საერთაშორისო დღეა. განსაკუთრებით გილოცავთ მუზეუმის თანამშრომლებო, ვხედავ, როგორ თავდაუზოგავათ შრომობთ იმისთვის, რომ მუზეუმში დაცულ საგანძურზე ინფორმაცია მიაწოდოთ ჩვენს მომავალ თაობას. სიამაყით ვივსები, როდესაც ვუყურებ პატარებს, მოზარდებს, რადგან უამრავი საინტერესო მასალა მოუძიებიათ, ძალიან ბევრი უმუშავიათ. გულწრფელად მიხარია. მინდა, ერთი რამ გირჩიოთ: რაც უფრო ხშირად მოხვალთ აქ, უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებთ ჩვენი ისტორიის, წარსულის, ჩვენი მეფეების, დედოფლების, გამოჩენილი ღვაწლმოსილი, თავდადებული წინაპრების შესახებ. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მანანა ყატაშვილს, რომელმაც ასეთი მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა მუზეუმს, სადაც დიდი შრომა, მონდომება და მოტივაციაა ჩადებული. დამსწრე საზოგადოებას და მუზეუმელებს კიდევ ერთხელ ვულოცავ მუზეუმების საერთაშორისო დღეს. გისურვებთ უამრავ სტუმარსა და დამთვალიერებელს, განსაკუთრებით ასეთ განახლებულ და საუკეთესოდ მოწყობილ გარემოში. მადლობა ყველას, ვინც ამ ღონისძიების მოწყობაში მცირედი წვლილი მაინც შეიტანა. გელოდებით 26 მაისს ახლადრეაბილიტირებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე“.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელმა - მანანა ყატაშვილმა მუზეუმელებს და საზოგადოებას მიულოცა დღევანდელი დღე და მუზეუმს საჩუქრად გადასცა 2023 წელს გამოცემული დედოფლისწყაროს ტურისტული რუკა.

მანანა ყატაშვილი: „უპირველეს ყოვლისა, ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს. ძალიან მიხარია, რომ დღეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვარ. ახლა ჩვენ ისტორიულ შენობაში ვართ, რომელიც აშენებულია მე-19 საუკუნის ბოლოს. ამ შენობაში ბევრი სხვადასხვა ორგანიზაცია იყო განთავსებული. თუმცა, დღესდღეობით, აქ ყველაზე კარგი დაწესებულებაა გახსნილი მათ შორის, რაც კი აქამდე ყოფილა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც ჩვენი რაიონის ისტორიას ინახავს, რაც ძალიან საამაყოა. დიდი მადლობა ყველა ბავშვს, ვინც მონაწილეობდა ამ ღონისძიებაში და გაგვილამა ეს დღე. თუ ხშირად მოხვალთ ხოლმე მუზეუმში, თქვენც და თქვენი თანატოლებიც, აქ დაგხვდებიან ძალიან კარგი ექსკურსიამძღოლები, რომლებიც დაგეხმარებიან, გაჩვენებენ ყველაფერს, თუ გარკვეული ინფორმაცია დაგჭირდებათ ამა თუ იმ სასკოლო პროექტისთვის, ამის მოძიებაშიც შეგიწყობენ ხელს. ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ ამ მუზეუმს და ყოველთვის მიყვარს ხოლმე აქ მოსვლა. ჩვენმა ასოციაციამ, ესტონელ მეგობრებთან ერთად მოამზადა დედოფლისწყაროს ტურისტული გზამკვლევი, სადაც დატანილია ყველაფერი რაც

ტურიზმშის სფეროშია გაერთიანებული დღეს დედოფლისწყაროში. ყველა დაწესებულებას აქვს თავისი QR კოდი, რომლის დასკანერების შემდეგ გადადიხართ იმ ორგანიზაციის საიტზე, რომელზეც გსურთ. წარმატებები ყველა მუზეუმელს“.

ღონისძიება მხატვრულად გააფორმეს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის ბავშვთა გუნდმა ბაჩანა ალუღიშვილის ხელმძღვანელობით და მეფე ვახტანგ გორგასლის სახ.სკოლა-ინტერნატის მომღერლებმა, გოდო აბუღაშვილის ხელმძღვანელობით.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმების საერთაშორისო დღის ღონისძიებები საქართველოში არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც ტარდება, რაც ხელს უწყობს კულტურის ხელმისაწვდომობას და საზოგადოების ჩართულობას.

2025 წლის მუზეუმების საერთაშორისო დღის თემა არის: **„მუზეუმების მომავალი სწრაფად ცვალებად საზოგადოებებში“**. ამ თემით ხაზგასმულია მუზეუმების როლი თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავებაში, მათ შორის სოციალური, ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ტრანსფორმაციების ეპოქაში. მუზეუმები აღიარებენ თავიანთ პასუხისმგებლობას მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოების განვითარებაში და ცდილობენ, რომ იყვნენ ცვლილებების კატალიზატორები.

მუზეუმების საერთაშორისო დღე წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას, რომ გავაცნობიეროთ მუზეუმების მნიშვნელობა და მათი როლი საზოგადოების კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

✍ ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ულოცავენ!

დალი ბაღაშვილს და შოთა გოგოჭურს!

დალი და შოთა, გილოცავთ შვილიშვილის – **ნიცა ფურცელაძის** ამქვეყნად მშვიდობით მობრძანებას. მშობლებს, **მარიამ გოგოჭურსა და დათა ფურცელაძეს** ვუსურვებთ პატარა ნიცა მუდამ ჯანმრთელი, ბედნიერი და გახარებული ჰყოლოდეთ.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი 33 000$. ასევე, კორპუსის 4 ოთახიანი ბინა სასტუმრო „ავტოგრაფის“ წინ, ფასი 28 500$. ტელ: 595 32 47 61

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 26.05		სამშაბათი 27.05		ოთხშაბათი 28.05		ხუთშაბათი 29.05		პარასკევი 30.05		შაბათი 31.05		კვირა 01.06	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	25 °	13 °	24 °	14 °	25 °	14 °	25 °	13°	25 °	14 °	25°	13 °	26 °	14 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ლაბ კოლორის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
„შირაქის“ ელ.ფოსტა:
gazetishiraki@gmail.com
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი